სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება № 1

ბოლნისი 3 იანვარი 2011წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი (მის: ქალაქი ბოლნისი სააკაძის 117), წარმოდგენილის დირექტორის ემზარ ისიანის სახით (აქ და შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს „ოილ-444" (მის ქ.თბილისი გორგასლის 115) წარმოდგენილის დირექტორის მ. ხაჭიპურაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „შემსყიდველი" უკვეთავს, ხოლო "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას მიაწოდოს საწვავი ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით. (ხარჯთაღრიცხვა დანართი №1)

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **4990** (ოთხი ათას ცხრაას ოთხმოცდაათი).

3. საქონლის მიწოდების ვადა

4.1 „მიმწოდებელი" საქონლის მიწოდებას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებისთანავე და დაასრულებს 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

5. მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მიწოდებული საქონელი ჩაითვლება სრულად მიღებულად, მხარეების მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შემსრულებლის მხრიდან შესაბამისი ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის შემდეგ.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება იწარმოებს უნაღდო ანგარიშწორებით, მიწოდებულ საქონელზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდეგ 3 დღის ვადაში ანგარიშწორების ანგარიშზე.
6.2 ანგარიშწორება მოხდება ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1 „შემსყიდველი" ვალდებულია:
ა) ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისათვის გადაუხადოს „შემსრულებელს" გაწეული საქონლის ღირებულება.

ბ) კონტროლი გაუწიოს ხელშეკრულების საგნის შესრულებას.

7.2 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) დროულად შეასრულოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება/მომსახურეობის გაწევა.

ბ) თავისდროულად და წერილობით აცნობოს "შემსყიდველს" საქონლის მიწოდებისას მომსახურეობის გაწევისას წარმოქმნილი მოსალოდნელი შეფერხებების შესახებ.

8. ფორს-მაჟორი

8.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

8.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება მოქმედებაში შედის ორივე მხარის ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2011 წლის 31 დეკემბრამდე.

10 დავების გადაწყვეტა

10.1 მხარეებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი იმისათვის, რომ გადაწყვიტონ წარმოშობილი საკამათო საკითხები და გაუგებრობა ერთმანეთისადმი კეთილგანწყობის ფარგლებში, მოლაპარაკებათა საშუალებით.

10.2 თუ მხარეები ვერ გადაწყვეტენ წარმოშობილ საკამათო საკითხებს, მაშინ საკითხი გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით.

11. ინსპექტირების პირობები

11.1 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ემზარ ისიანი ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსის დირექტორი

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, შეცვლა, შეწყვეტა.

12.1 „შემსყიდველს" შეუძლია შეუწყვიტოს ხელშეკრულება ნებისმიერ დროს თუ დაფიქსირდება „მიმწოდებლის" მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, და გადაახდევინოს „მიმწოდებელს" პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა „მიმწოდებელს" არ ანთავისუფლებს 12.1 და 12.2 პუნქტებში დაფიქსირებული პირგასამტეხლოებისაგან.

12.4 „შემსყიდველს" შეუძლია ცვლილება შეიტანოს ხელშეკრულებაში ნებისმიერ დროს ორივე მხარის შეთანხმების შემთხვევაში თუ აღნიშნული არ ცვლის ხელშეკრულების ძირითად აზრს

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს ორ იდენტურ ეგზემპლარს, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"

ბოლნისის სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი

ს\კ 225394702 ა\ა GE31 LB0125150404340000

ს.ს. „ლიბერთი ბანკი" ბოლნისის ფილიალი

ბანკის კოდი LBRTGE

ხელის მოწერა და ბეჭედი

გ. ფხაკაძე

„მიმწოდებელი"

შპს „ ოილ-444"

ს\კ 206338122 „ თიბისი ბანკი"

ა\ნ 23236020100009

ხელის მოწერა და ბეჭედი

მ. ხაჭიპერაძე